ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო!

2014 წელი
16-31 მაისი
№10 (9337)

# კოლხეთი

გაზეთი გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

ფასი 40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

მუნიციპალიტეტის ამბები

## დამოუკიდებლობის დღე

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, რომლის პირველ პუნქტში ეწერა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა". 26 მაისი საქართველოს ისტორიაში ერის სიამაყის და ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის დღედ იქცა. სიმბოლურია, რომ 26 მაისი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა.

საქართველოში 26 მაისი უქმე დღედ არის გამოცხადებული. ამდენად, ყველა მოქალაქეს შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომელიც სენაკის მუნციპალიტეტის მასშტაბით დაიგეგმა. 23 მაისს, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში, საბავშვო ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კომპოზიცია " ასი მოგონება ფრთხილობს, ასიც დაჭრილივით ბღავის". 26 მაისი სახვითი ხელოვნების გალერეაში სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენით დაიწყო. გამოფენის შემდეგ, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიიდან მოეწყო მსვლელობა, რომელიც მონაწილეებმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძვნილი სლოგანებით გააფორმეს. მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. აღსანიშნავია, რომ სახვითი ხელვნების გალერეის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ხალხური რეწვისა და ტრადიციული ხელოვნების გამოფენები. დღე დაასრულა ქ/თეატრ "რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულმა კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ესტრადის ცნობილმა სახეებმა: ბექა ბროლაძემ, ანა ხანჩალიანმა, ნათია დუმბაძემ, ირინა ბაირამაშვილმა და ადგილობრივმა მომღერლებმა. ღონისძიება საზეიმო ვითარებაში წარიმართა და გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

## დედაღვთისა გფარავდეთ და გაძლიერებდეთ!



ამერიკიდან ჩამობრძანებული ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი სენაკს ეწვია. წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში პარაკლისის აღვლენისა და მრევლის მიახლების შემდეგ ხატი აბაშის მიმართულებით წააბრძანეს. შეგეწიოთ და გფარავდეთ დედაღვთისა! ზეციური დედის ლოცვის მადლით გაბრწყინდეს და გამთლიანდეს მისი წილხვედრი ივერია

## ტურნირი „ოლიმპიური სისტემით"

21- 26 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 96-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მინისაფეხბურთო ტურნირი გოგონათა შორის. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, სადაც სენაკის 6-მა სკოლამ მიიღო მონაწილეობა. 26 მაისს ფინალური შეხვედრა ნოსირის ხელოვნურსაფარიან მინიმოედანზე გაიმართა, სადაც შარშანდელი გამარჯვებულის ზანისა და მესამე საჯარო სკოლის გუნდები წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. შეხვედრა ბოლო წუთამდე დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა, რომლის ძირითადი დრო ფრედ: 3-3 დასრულდა. პენალტების სერიაში კი უფრო იღბლიანი ზანელი გოგონები აღმოჩნდნენ და მათ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს აღნიშნულ ტურნირში.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ორგანიზატორებმა თასით, მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვეს გამარჯვებული და მეორეადგილოსანი გუნდის წევრები.

## ღია ტურნირი კალათბურთში

2014 წლის 24-26 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი კალათბურთში გოგონათა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ზუგდიდის, ქუთაისის, მენჯის საჯარო და სენაკის სასპორტო სკოლების გოგონათა ნაკრებმა გუნდებმა. შეჯიბრი წრიული სისტემით გაიმართა, სადაც პირველ ადგილზე - ზუგდიდის, მეორეზე - სენაკის, ხოლო მესამეზე - მენჯის საჯარო სკოლები გავიდნენ.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და სიგელებით.

გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

„რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი"

## სენაკის ფესტივალი -2014

დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ჩვენს ქალაქს არაერთი საინტერესო და შინაარსობრივად დატვირთული დღეები ახსოვს. განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იყო წლევანდელი მაისი. სენაკმა ღირსეულად უმასპინძლა დასავლეთ საქართველოს II რეგიონალურ მუსიკალურ ფესტივალს. ფესტივალის დაფუძნების იდეა ეკუთვნის მსოფლიოში ცნობილ პიანისტს, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატს, ხელოვნების აკადემიის რექტორს ვალერიან შიუკაშვილს. პიანისტმა საქართველოს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში გაუთქვა სახელი. მისი სახელი შეტანილია XXI საუკუნის ვარსკვლავების წიგნში და მსოფლიოს საუკეთესო პიანისტთა ოცეულში შედის.



ფესტივალის იდეის ხორცშესხმას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად დიდად შეუწყო ხელი სენაკის სამუსიკო სკოლამ. ამ საქმეში დიდია სამუსიკო სკოლის დირექტორის ქალბატონ რუსუდან მილიუტინის როლი. გასულ წელს ფესტივალი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთი რეგიონის. წელს კი ფესტივალი გაფართოვდა და გახდა დასავლეთ საქართველოს II რეგიონალური ფესტივალი.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო: ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, წყალტუბოს, ვანის, სამტრედიის, სოფლების-დიდი ჯიხაიშისა და ტოლების, ბათუმის, ლანჩხუთის, სუფსის, ზუგდიდის, აბაშის, ხობის, ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის 26-მა სამუსიკო და სახელოვნებო სკოლამ და სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა, უამრავმა ნორჩმა მუსიკოსმა.

ფესტივალის მიზანია რეგიონის ნიჭიერი ნორჩი მუსიკოსების გამოვლენა და მათი დაკვალიანება მუსიკოსის რთულ დ საპატიო პროფესიის არჩევასა და დაუფლებაში, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ხელოვნებისა ამ ულამაზესი და ურთულესი დარგით. მათი მოზიდვა როგორც კლასიკური ასევე საესტრადო ჟანრებისა და ფოლკლორის კუთხით.

ფესტივალის ამოცანაა შეაყვაროს ხელოვნების ეს ულამაზესი დარგები და ჟანრები მოზარდ თაობას.

15 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით კლასიკური მუსიკით სუნთქავდა სენაკის სამუსიკო სკოლა. შერჩეულ იქნა კომპეტენტური ჟიური. ჟიურს თავმჯდომარეობდა ბატონი ვალერიან შიუკაშვილი. წევრები იყვნენ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ვოკალის კლასის პედაგოგი გულიკო კარიაული, ქ. თელავის სამუსიკო სკოლის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლელა ონიანი და სენაკის სამუსიკო სკოლის დირექტორი რუსუდან მილიუტინი.

უნდა აღნიშნოს, რომ ფესტივალზე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ სენაკის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდი, 40 პიანისტი, საესტრადო და ფოლკლორული განყოფილებების მოსწავლეები(სულ 100 მოსწავლე), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ნორჩი მომღერლები, ფესტივალის სტიპედიანტები გახდნენ მეგი და გიორგი ცისკაძეები(ხელმძღვანელი სალომე ბერიშვილი).

დილის 11 საათიდან 18 საათამდე სენაკელებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში მოესმინათ ნორჩი შემსრულებლებისათვის, 18 საათიდან კი აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პროფესიონალი მუსიკოსები და მომღერლები ატკბობდნენ დამსწრეთა სმენას.

„სენაკის ფესტივალი 2014" ქრონოლოგიურად ასე წარიმართა:

15 მაისს, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატრონაჟით, გაიხსნა "სენაკის ფესტივალი 2014", რომლის პირველი „აკორდი" იყო მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ვირტუოზი პიანისტისა და კომპოზიტორის - ვალერიან შიუკაშვილის სოლო კონცერტი. კონცერტის დასაწყისში აღინიშნა, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ფესტივალს პატრიარქის პატრონაჟი, მისი გამორჩეული მზრუნველობა და ყურადღება ამ მოვლენისადმი. კონცერტის დასასრულს, ვალერიან შიუკაშვილმა პირველი ავტოგრაფი დასვა ფესტივალის საპატიო სტუმართათვის საგანგებოდ სცენაზე გამოტანილ ბანერზე.



16 მაისს გაიმართა საეკლესიო მუსიკის კონცერტი სვეტიცხოვლის საპატრიარქოს მგალო-

გაგრძელება მე-2 გვერდზე



## კანდიდატების წარდგენა

**16 მაისს** ბლოკმა „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართა შეხვედრა სენაკის საზოგადოებასა და ამომრჩევლებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ ბლოკ „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიგი უგულავა, საქართველოს პარლამენტის წევრები დავით ბაქრაძე, ნუგზარ წიკლაური, გიორგი ღვინიაშვილი, თენგიზ გუნავა.

გიგი უგულავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სენაკელ ამომრჩევლებს წარუდგინა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი ზურაბ სანაია, სენაკის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლაშა კუჭავა, პარტიული სია და 14 თემის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი

* * *

**16 მაისს** საარჩევნო ბლოკ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია" მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატად წარდგენილ იქნა გოჩა ბოკუჩავა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად დასახელდა კობა კილასონია. წარდგენილ იქნა საკრებულოს წევრობის კანდიდატი 14 თემში.

მილოცვა

## ბატონ დემურ გადელიას!

ბატონო დემურ! თქვენ გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით, შესაშური ენერგიით, თავდაუზოგავი ენერგიით, თანამშრომლებისა და მოყვასისადმი თანადგომით.

განუზომელია თქვენი ავტორიტეტი ხალხში, თქვენ უყვარხართ და გაფასებენ, ორჯერ ზედიზედ არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად და თქვენი მოღვაწეობის უმთავრესი პრიორიტეტი ხალხზე ზრუნვა იყო და არის დღესაც სამეცნიერო სფეროში, ფინანსურ მენეჯმენტში თქვით თქვენი სათქმელი, დამსახურებულად გაქვთ მიღებული ღირსების ორდენი, მრავალი მედალი და სიგელი. სწორედ თქვენს მოღვაწეობას მიესადაგება აკაკი წერეთლის სიტყვები: „ადამიანის ღირსება ხალხში არ იკარგება ფასდაუდებლად, კარგი კაცები იმით კი არ არიან სასარგებლონი, რომ თავისთავად ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, არამედ ისინი თავის სახელით სხვებსაც იწვევენ საკეთილმოქმედოდ.

ჩემი ოჯახი წრფელი სულით და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ურიცხვ წარმატებებს და დიდხანს სიცოცხლეს თქვენს შვილთან და შვილიშვილთან ერთად.

უფალი გფარავდეთ!

ინეზა ჯალაღონია-გადილიას ოჯახი

## ტრენინგი რეგიონალური მედიისათვის



მედიის მიერ საარჩევნო პროცესების ეფექტიანად და მაღალკვალიფიციურად გაშუქების ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა 17 მაისს ქ. ქუთაისის სასტუმრო „რჩეული პალასის" საკონფერენციო დარბაზში ჩაატარა ტრენინგები რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის.

მისალმების და მონაწილეთა გაცნობის შემდეგ ცენტრის წარმომადგენელმა ნათია იოსელიანმა ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების სტატისტიკაზე, არჩევნებში ჩართულ მხარეებზე და მედიის როლზე, მედიის სახელმძღვანელო პრინციპებზე და უფლებრივ მდგომარეობაზე.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა სწავლების ცენტრის ტრენერმა ბეჭდური, ელექტრონული და სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლებს გააცნო კენჭისყრის დღის პროცედურები, საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, მათ შორის, ფოტოვიდეოგადაღების რეგულაციები და მედიის უფლებრივ მდგომარეობა.

არჩევნების გაშუქების ძირითად სქემებთან დაკავშირებით საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (I შ) ექსპერტმა ირინა რუხაძემ ისაუბრა არჩევნების დღის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე, საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოცხადების წესზე, საერთაშორისო გამოცდილების შესახებ.

საინტერესო იყო ასევე დისკუსია თემაზე „საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და გაშუქების ძირითადი სქემები"

ტრენინგის შეჯამებისას ყველა მონაწილემ ერთხმად აღნიშნა, რომ სემინარის თემატიკა იყო ძალიან მრავალფეროვანი და დიდ დახმარებას გაუწევს ჟურნალისტებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მ.ბერგაია

„რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი"

## სენაკის ფესტივალი -2014

ბელთა გუნდისა და ჩხოროწყუს ხალხური სიმღერების ანსამბლ „კავკასიონის" მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ეს საღამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საჩუქრად მიუძღვნა სენაკსა



ანსამბლი „კავკასიონი"

და სენაკელებს. უნიკალური ქართული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების ბრწყინვალედ შემსრულებლებს, რომელთაც მაყურებლის გულწრფელი აღფრთოვანება და ოვაცია დაიმსახურეს.

17 მაისს, გაიმართა შეხვედრა მომღერალ ირმა სოხაძესთან. საღამოზე ყველასათვის უსაყვარლესმა მომღერალმა შეასრულა ჰიტებად ქცეული ცნობილი სიმღერები. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ერთ მთლიანობად ქცეულ დარბაზში საოცრად თბილი და უშუალო დამოკიდებულება სუფევდა. სიმღერებს შორის ინტერვალისას, მომღერალი საუბრობდა მაყურებლისათვის საინტერესო თემებზე. შემდგომ კი დარბაზში მყოფი ყველა პატარა მოწვეულ იქნა სცენაზე ქალბატონ ირმა სოხაძესთან ერთად მისი ულამაზესი სიმღერების შესასრულებლად. მომღერალს მადლობის სიგელები გადასცეს ვალერიან შიუკაშვილმა და სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის



ლალი მიშველი და ლაშა სესიტაშვილი

კულტურის, განათლების და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ირმა კუპრეიშვილმა.

19 მაისს „სენაკის ფესტივალი 2014" ხელოვნების აკადემიის სტიპენდიანტებს მასპინძლობდა. აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უნიჭიერესი ახალგაზრდა შემსრულებლები თბილისის, თელავის, ბათუმის, სენაკის, ჭიათურისა და აბაშის სამუსიკო სასწავლებლებიდან. განსაკუთრებული ოვაციით შეხვდა მაყურებელი ფესტივალის აღმოჩენას - ჭიათურის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლის ირაკლი ფხალაძის მიერ შესრულებულ სიმღერებს.

საღამოს მეორე ნაწილი სრულად დაეთმო საოპერო ხელოვნების მოღვაწეებს. სენაკელი მაყურებლისთვის განსაკუთრებულად სასიხარულო იყო სენაკში აღზრდილი ცნობილი საოპერო მომღერლის, ქ. თბილისისა და პეზაროს კონსერვატორიების კურსდამთავრებულის და ოზიმოს (იტალია) აკადემიისა და პეზაროს ჯ. როსინის სახელობის კონსერვატორიის ასპირანტის, ქალაქების: ოსტუნისა და პინეტოს ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების I პრემიების ლაურეატის ლალი მიშველიას გამოჩენა სცენაზე. როელმაც სოლო პარტიებთან ერთად დუეტები შეასრულა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტთან არმაზ დარაშვილთან და თურქეთის ქალაქ მარმარისის საერთაშორისო კონკურსის I პრემიის ლაურეატთან ლაშა სესიტაშვილთან. კონცერტმაისტერი გახლდათ ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალის კათედრის კონცერტმაისტერი, კონცერტმაისტერთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მაია ფერაძე. ხელოვნების აკადემიისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის მადლობის სიგელები საპატიო სტუმრებს გადასცეს ზაალ გელენიძემ და გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ნატო ფულარიამ.

კონცერტის ბოლო აკორდად სასიხარულო ინფორმაცია მიეწოდა საზოგადოებას: მსოფლიოში აღიარებული პიანისტისა და კომპოზიტორის, ფესტივალის დამფუძნებლის ვალერიან შიუკაშვილის ინიციატივით სამუსიკო სკოლის გუნდს მიენიჭა ავთანდილ გოგოტიშვილის სახელი. საღამო ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გუნდის მიერ შესრულებული სიმღერით დასრულდა(პედაგოგები: გულნაზ ქაჯაია, გრიალა სამინავა. კონცერტმაისტერი რუსუ-



ირმა სოხაძე

დან მილიუტინი).

20 მაისს, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახლმწიფო დრამატულ თეატრში, გაიმართა ცოცხალ ლეგენდად სახელდებული კომპოზიტორის - ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი საღამო. კომპოზიტორი სენაკს „სენაკის ფესტივალი 2014"-ის ფარგლებში ეწვია. მან საოცარი უშუალობით ისაუბრა აუდიტორიისთვის საინტერესო საკითხებზე, თავისი მდიდარი ბიოგრაფიიდან გაიხსენა ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მომენტები. სცენიდან იფრქვეოდა უკვდავი ქართული სიმღერები თავად ვაჟა აზარაშვილის განუმეორებელი შესრულებით. აღსანიშნავია, რომ მაყურებლის დაჟინებული მოთხოვნით მან ექსპრომტად შეასრულა „სენტიმენტალური ტანგო", რომელსაც აკომპანირება გაუწია პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა.

უძვირფასესი სტუმრის მადლობის სიგელებით დაჯილდოების შემდეგ, საღამო დაასრულა ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის სენაკის სამუსიკო სკოლის გუნდის მიერ შესრულებულმა ვაჟა აზარაშვილის სიმღერამ „მუსიკა", რომელსაც ავტორმა მაღალი შეფასება მისცა.



ირაკლი ფხალაძე

21 მაისს "სენაკის ფესტივალი 2014" დაამშვენა სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის კონცერტმა.

სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი: კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით, შეიქმნა 1966 წელს. ანსამბლმა უამრავ წარმატებას მიაღწია როგორც

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი"
# სენაკის ფესტივალი - 2014

დასასრული



*სამუსიკო სკოლაში*

საქართველოში, ასევე უცხოეთის მრავალ ქვეყანაში. ქართველ მუსიკოსებს სისტემატურად იწვევენ სხვადასხვა პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის. მათ შემოქმედებას მაღალ შეფასებებს აძლევენ გერმანიაში, ფინეთში, შვედეთში, დანიასა და იტალიაში.



*სენაკის სამუსიკო სკოლის გუნდი*

ანსამბლმა ფესტივალზე შეასრულა უცხოელ და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მუსიკოსებს გადაეცათ ხელოვნების აკადემიისა და სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მადლობის სიგელები

22 მაისს ფესტივალი შემაჯამებელი გალა-კონცერტით დასრულდა. ფესტივალმა გამოავლინა უნიჭიერესი ნორჩი მუსიკოსები, რომლებიც გახდნენ ფესტივალის დიპლომანტები, აკადემიის სტიპენდიანტები. მათ შორის - სენაკის სამუსიკო სკოლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის გამორჩეული მოსწავლეები.



საღამოს დაწყებამდე სენაკის სამუსიკო სკოლის მიმდებარე პარკში ვალერიან შიუკაშვილის, ფესტივალის მონაწილეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ სიმბოლურად დაირგო ფესტივალის ნერგი, რომელსაც ყოველწლიურად მიემატება ახალ-ახალი...

საზეიმო გალა-კონცერტზე მსმენელთათვის დაუკრა ვალერიან შიუკაშვილმა. მონაწილეობა აგრეთვე მიიღეს ხელოვნების აკადემიის, დასავლეთ საქართველოს II რეგიონალური მუსიკალური ფესტივალი - 2014 - ის სტიპენდიანტებმა. საქართველოს 27 სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით, სიგელებით, ხოლო სკოლები - მადლობის სიგელებით. სიტყვით გამოვიდნენ ფესტივალში გამარჯვებული მოსწავლეებისა და შემოქმედებითი ჯგუფების, სამუსიკო და სახელოვნებო სასწავლებლების წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, რომლებსაც დიპლომებისა და სიგელების გარდა გადაეცათ მათთვის საგანგებოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი ჯვრები და ეპისტოლეები. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით ფესტივალის დამფუძნებელსა და ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა



*ვაჟა აზარაშვილი*

ნატო ფულარიამ. დასასრულს, გამგეობის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ირმა კუპრეიშვილმა გააჟღერა ინიციატივა, რომ ფესტივალს მიენიჭოს ვალერიან შიუკაშვილის სახელი.

სენაკელებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს დაუვიწყარი დღეები. ერთგვარი ნოსტალგიით ტოვებდნენ დარბაზს მუსიკის თაყვანისმცემლები. ადგილობრივ მედიასთან გასაუბრებისას თავიანთი აზრი დააფიქსირეს ფესტივალის ორგანიზატორმა და მონაწილეებმა.

**ვალერიან შიუკაშვილი**-საოცრად ბედნიერი ვარ, რადგან ვხედავ გაღიმებულ ადამიანებს, მუსიკაზე შეყვარებულ მოსწავლეებს, მონდომებულ და მიზადასახულ პედაგოგებს. ფესტივალის ყოველი დღე ჩემთვის აღმოჩენა, მიღწევა და წარმატება იყო. ძალიან დატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად მხნედ ვგრძნობ თავს. ჩვენი სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის თანადგომამ ნამდვილ ბედნიერებასა და სიხარულს გვაზიარა. ჭეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვავსო. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ამ ლამაზი ქალაქის თითოეულ მცხოვრებს, მუნიციპალიტეტის გამგეობას, სამუსიკო სკოლის დირექტორებს, მშობლებს, რომლებმაც გამამხნევეს და მომცეს ძალა შემესრულებინა ის რთული მისია, რასაც ფესტივალის ხელმძღვანელობა ჰქვია.



*სიმებიანი კვარტეტი*

**ვაჟა აზარაშვილი,** კომპოზიტორი-შემიძლია ვთქვა, რომ ერთგვარად გამაახალგაზრდავა ნიჭიერი ბავშვების მოსმენამ. რეგიონის წარმოჩენით ფესტივალის ორგანიზატორებმა საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. დიდი აკაკი ხორავას მშობლიური ქალაქი არ ღალატობს თავის ტრადიციას და ახალგაზრდა თაობის ნიჭის გამოვლენით ღირსეულ სიტყვას ამბობს მუსიკალურ სივრცეში. ღმერთმა უმრავლოს თქვენს ქალაქს და სრულიად საქართველოს ნამდვილი ვარსკვლავები.

**რუსუდან მილიუტინი-** სენაკის სამუსიკო სკოლის დირექტორი-დასავლეთ საქართველოს II რეგიონალურ ფესტივალს სამუსიკო სკოლამ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ღირსეულად უმასპინძლა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საფესტივალოდ გაარემონტა სამუსიკო სკოლის დიდი საკონცერტო დარბაზი, რათა მონაწილეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა მოწესრიგებულ გარემოში წარმოეჩინათ თავისი ხელოვნება.

ფესტივალი დასრულდა, რომლის შედეგი აუცილებლად იქნება ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების ამ შესანიშნავი დარგით –მუსიკით. მონაწილეებს და მსმენელებს უნდოდათ, რომ ფესტივალი არ დასრულებულიყო. ფესტივალი კვლავ გაგრძელდება და უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

ვუსურვოთ სენაკს, გაგრძელდეს და თვისობრივად ახალ და უფრო მაღალ ხარისხში ავიდეს ამ ლამაზი ქალაქის კულტურული ცხოვრება.



**გაზეთის რედკოლეგიას ისღა დარჩენია თავისი- ხმა შეუერთოს ასობით სენაკელის სურვილს, წარმატებები უსურვოს მაღალი რანგის მუსიკოსებს და ნორჩ შემსრულებლებს.**

მედეა ბალათურია,
მაია გერგაია

## სენაკელ გოგონათა წარმატება



საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრებში მოასპარეზე სენაკის „ეგრისის" ფეხბურთელები სამშობლოში დაბრუნდნენ. ნინო ჩანგელიას(მეკარე) და ნინო გვასალიას(ნახევარმცველი) სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უმასპინძლეს 17 მაისს და საჩუქრები გადასცეს. ჩვენმა გოგონათა ნაკრებმა გუნდმა ფეხბურთში მოლდოვაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე II ადგილი დაიკავა. მათ ჯერ დაამარცხეს მოლდავეთის ნაკრები 1;0, სადაც გოლი ნინო გვასალიამ გაიტანა. ფინალში კი პენალტების სერიით დათმეს I ადგილი. სენაკის „ეგრისის " გოგონათა გუნდის მწვრთნელია ლევან ლატარია. ვუსურვოთ მათ შემდგომი წარმატებები.

მ.ჯღამაძე,
სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო
გაერთიანების სპორტსკოლის კოორდინატორი

## მუზეუმები- ერის სიმდიდრე



1977 წლიდან მთელ მსოფლიოში 18 მაისს აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღე.

პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ხალხმრავლობა იყო ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჟიული შარტავას მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა ქალბატონმა მარინე აბრამიამ, მან მიმოიხილა წარსული, დიდი სითბოთი მოიგონა ყველა ის პიროვნება, რომლებიც რაიონის სამუზეუმო ცხოვრებას ქმნიდნენ. მუზეუმში დასაქმებულთ კი უსურვა დიდხანს შემართებით სვლა პროფესიულ გზაზე..

მუზეუმების მნიშვნელობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველმა ქალბატონმა გრიალა ანთიამ. მანვე დამსწრეთ მოკლედ გააცნო ჟიული შარტავას ფონდში დაცული მსოფლიოსა და საქართველოს ცნობილი მუზეუმების სტელაჟზე გამოფენილი ფოტოები.

მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა ბატონმა რეზო ჯანჯღავამ. მუზეუმში დასაქმებულთადმი კეთილგანწყობილებას ხმა შეუერთეს საზოგადოება „სენაკელის" გამგეობის წევრმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ქალბატონმა ნელი ხორავამ და პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა ქალბატონმა ნელი ბრეგვაძემ, მანვე სამახსოვრო საჩუქრები გადასცა თანამშრომლებს.

მუზეუმის თანამშრომლებისადმი პროფესიული დღის მილოცვაში მისთვის ჩვეული ყურადღებით გამოირჩეოდა კულტურის ცენტრის დირექტორი ქალბატონი ეკატერინე გაბრავა: „თქვენ დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებით დამთვალიერებელთ, უნახავთ მომავალ თაობებს მუზეუმში დაცულ საგანძურს. იმედია მომავალშიც საქმის საკეთილდღეოდ, დიდი სიყვარულითა და შემართებით მოემსახურებით მუზეუმებით დაინტერესებულ პირთ. გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში "

მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელთ საგამოფენო დარბაზებში საინტერესო მეგზურობას უწევდნენ მუზეუმის თანამშრომლები. პირველები მუზეუმს სტუმრობდნენ პირველი საჯარო სკოლის და კერძო სკოლა „პელაგონის"(დირექტორები –მ. ალანია, რ. ურიდია) მოსწავლეები(კლასის ხელმძღვანელები ნ. ბრეგვაძე, ხ. გვასალია, ი. ნაჭყებია) დამთვალიერებლები შთაბეჭდილებათა წიგნში მოკრძალებით აღნიშნავდნენ მუზეუმში სტუმრობით მიღებულ განცდებს. ექსკურსიის მონაწილეებმა მრავლად გადაიღეს ფოტოები.

დადებითი განწყობილებით დასრულდა დღე მუზეუმში.

ეკა ჯოჯუა,
კულტურის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

## მადლობა თქვენ!

სენაკის წითელი ჯვრის ინიციატივითა და გულისხმიერებით მივიღე დაბადების დღის მოლოცვის ბარათი 2014 წლის 10 მაისს. ეს ყველაფერი ჩემდა მოულოდნელად მოხდა, მოვიდნენ ბინაში საჩუქრებით ხელდამშვენებული. მომართვეს სანთლებით შემკობილი ტორტი, სხვადასხვა ტკბილეული და ხილეული, ფერადი ყვავილებით შემკობილი დიდი თაიგული. ამ მოულოდნელობამ სიცოცხლე გამიხალისა, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტო-სურათები ჟ. შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის წითელი ჯვრის მოხალისე ახალგაზრდებთან და მათთან თანამყოფ ქალბატონ მაია ქავთარაძესთან.

მადლობა ყველას ვინც მე დამაფასა და დაბადების დღე მომილოცა. ,გამახალისა მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფი.

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი.

ნათელა დავითაია

## ჩემი ბიბლიოთეკა-ჩემი სამყაროა



სენაკის საბიბლიოთეკო სიტემა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით, მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების დანერგვით. ყოველწლიურად მთელი ქსელი განსაკუთრებულად ემზადება საბიბლიოთეკო კვირეულის ჩასატარებლად. ყველა ბიბლიოთეკა ცდილობს წარმოაჩინოს თავისი თავი ისეთად როგორც კვირეულის დევიზია: „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა".

აპრილის თვე ღონისძიებებით იყო დატვირთული, საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა 9 აპრილი-ერის ტკივილი, 14 აპრილი „ქართული ენა ჩვენი საუნჯე".

მნიშვნელოვანი იყო საბიბლიოთეკო სისტემის მუშაკებისათვის 30 აპრილი „ბიბლიოთეკარის დღე", საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის კულტურის სამინისტროს ინფორმაციისა და სპეციალისტთა ასოციაციის ინიციატივით 2003 წლიდან ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც მ/წლის 28 აპრილს დაიწყო, კვირეული ჩატარდა დევიზით: „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა". კვირეულში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები.

კვირეულის გახსნის დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენები , სადაც ბიბლიოთეკის მუშაობის ამსახველი წერილობითი და ფოტო მასალები იყო მოთავსებული, ცალკე თაროზე იყო გამოფენილი საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკების ფოტოები „ამაგდარი ბიბლიოთეკარები", მეორე თაროზე კი „მარადისობაში გადასულები", გამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებდა ყველა შემომსვლელი.

კვირეულის დღეებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: საბავშვო ბიბლიოთეკაში მხატვრული კომპოზიცია „უწიგნოდ ძნელია". ფოცხოს ს/ბ (ლ.დემურია) ლიტერატურული საღამო „დრო თუ გვაბერებს, დრო გვიბრუნებს ახალგაზრდობას", მენჯის ბიბლიოთეკა (ი.სორდია) შეხვედრა სოფლის უხუცეს მკითხველებთან, ზ/ჭალადიდის ბიბლიოთეკა (რ. აბრამია) პოეზიის საღამო „შენ სისხლო ჩემო" მ. მაჭავარიანის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი, ხორშის ბიბლიოთეკა (ც. შიურღულაია) „ხალხური პოეზიის საღამო", თეკლათის ბიბლიოთეკა (მ.სართანია) ვიქტორინა კონკურსი „თუ დაივიწყე ენა ქართული, მაშ საქართველო არ გყვარებია", ძველი სენაკის ბიბლიოთეკა (მ. ფინთურია) შეხვედრა სოფლის ახალგაზრდობასთან „წიგნი აზროვნების დაუღლელი ფრთებია", ლეძაძამის ბიბლიოთეკა (ი.ჯღარკავა) „ღრმად გწამდეს შენი, პატივს სცემდე სხვის რწმენას", ზანის ბიბლიოთეკა (დ. გვაზაბია) დიალოგი თემაზე „ნარკომანია დამღუპველი სენია", ახალსოფლის ბიბლიოთეკა (ნ. თოდუა) თემატური საღამო „წიგნი დ სამყარო".

კვირეულის დახურვის დღეს კულტურის ცენტრის თანადგომით მოეწყო ექსკურსია ქ. თბილისში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დავათვლიერეთ ბიბლიოთეკის პირველი და მეორე კორპუსი, მეგზურობას გვიწევდა პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურის, მეცნიერების და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ბატონი ე. ჯგერენაია, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

კვირეულის დღეებმა ბევრი სასიკეთო ძვრები მოახდინა ბიბლიოთეკების ცხოვრებაში, გამოითქვა აზრი და სურვილები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, მუშაობის თანამედროვე ფორმების დანერგვაზე და ა.შ.

ც. ხორავა

## „გაუფრთხილდით დედამიწას"



„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა" ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნდა საქართველოში და დღეისათვის იკავებს წამყვან პოზიციებს არასამთავრობო სექტორში. ის 25 წელია საქმიანობას ეწევა სენაკის მუნიციპალიტეტშიც. ორგანიზაცია მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს სოციალურად მდგრადი საზოგადოების შექმნას, ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდას და ცნობიერების ამაღლებას საზოგადოების ფართო მასებში. ის არის საერთაშორისო ორგანიზაციის „დედამიწის მეგობრების"-სრულუფლებიანი წევრი და წარმოადგენს „დედამიწის მეგობრებს"( ) საქართველოში. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა წარმატებით მუშაობს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ პარტნიორებთან ერთად და გააჩნია ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე გარემოს დაცვითი, სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების გაანხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ადგილობრივი კოორდინატორია ქალბატონი დალი ქაჩიბაია, რომლის ორგანიზატორობით მრავალი საინტერესო და საჭირო პროექტია განხორციელებული სენაკის მუნიციპალიტეტში. ერთერთი მათგანია ახალგაზრდებში გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ეკოკლუბის „მწვანე ერთობის " დაარსება მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში. მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად ეკოლოგებმა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით ჩაატარეს კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა „დედამიწის" დღეს. კონფერენციაში ჩართული იყვნენ სენაკის I,II, II საჯარო სკოლის, ნოსირის, ლეძაძამის, მენჯის, ზ/ჭალადიდის და კერძო სკოლების „აპოდიქსისა " და „მარიოტას" მოსწავლეები. კონკურსში შემოსული 38 ნამუშევრიდან 12 საუკეთესო ნამუშევრის ავტორი საჯაროდ წარსდგა საზოგადოების წინაშე. მოსწავლეების თვალით დანახული გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და მათთან ბრძოლის გზები საინტერესო აღმოჩნდა დამსწრეთათვის.

კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეები და პედაგოგები სიგელებითა და მადლობის ბარათებით დააჯილდოვა სენაკის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა.

მწვანეთა მოძრაობის სენაკის ორგანიზაციის იდეა კონფერენციებში მოსწავლეების ჩართულობით, აგრეთვე სხვადასხვა აქტივობებით(დასუფთავების აქციები, ეკოთამაშები) გაგრძელდება ყოველწლიურად ასევე ორგანიზაციის მიერ 5 ივნისს, გარემოს დაცვის დღეს, მოეწყობა ბავშვთა ნახატების გამოფენა„ბავშვები ზრუნავენ გარემოზე", სადაც აქტიურად ჩაერთვებიან ეკოკლუბის წევრები საჯარო სკოლებთან ერთად.

იზოლდა ჩვამანია

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
მენეჯერი იზოლდა ჩვამანია
კორესპონდენტი მაია გერგაია
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33